<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის
სტანდარტის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი თანდართული სახით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის წესს სპეციალურ სწავლების მეშვეობით.

მუხლი 2. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლეების სპეციალიზაციის სტანდარტის პირობები

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი მოსამართლე ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შემდეგი ტრენინგები:

ა) ბავშვის უფლებათა კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო;

ბ) ბავშვის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები;

გ) ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები;

დ) ფსიქოლოგის როლი ბავშვის მონაწილეობით და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ე) ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;

ვ) სოციალური მუშაკის როლი ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ზ) ბავშვის საჭიროებები და მშობლებთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.

მუხლი 3. ტრენინგების მოდულის მიზნები

1. ბავშვის უფლებათა კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ბავშვის უფლებათა კოდექსის რეგულირების სფერო, მისი ძირითადი პრინციპები და მიზნები; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თვალსაზრისით დადგენილი სტანდარტები და ნორმები, ასევე საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო ბავშვის უფლებებთან მიმართებით.

2. ბავშვის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ბავშვის მონაწილეობით ან მასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები.

3. ბავშვის ასაკობრივი თავისებურები მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის თავისებურებები.

4. ფსიქოლოგის როლი ბავშვის მონაწილეობით და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითადი სფეროები და მუშაობის ინსტრუმენტები, მათ შორის, ის სისტემური პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს საოჯახო დავებში ბავშვის ქცევაზე.

5. ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე მოდულის მიზანია მოსამართლეებს გააცნოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები, ძალადობით გამოწვეული სტრესისა და ტრავმის გავლენა ბავშვის განვითარებაზე და ძალადობის დიაგნოსტირება-ამოცნობის შესაბამისი ინსტრუმენტები.

6. სოციალური მუშაკის როლი ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოდულის მიზანია, მოსამართლეებს გააცნოს სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია და სოციალური მუშაკის საქმიანობის მიზანი და ძირითადი სფეროები, ის სამუშაო ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა სოციალური მუშაკი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას.

7. ბავშვის საჭიროებები და მშობელთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები მოდულის მიზანია მოსამართლეების მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში ჩართული ბავშვის საჭიროებების, მშობლებთან და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული იმ ფაქტორების გააზრება, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის ქცევასა და მის ემოციურ თუ ფიზიკურ კეთილდღეობაზე.

მუხლი 4. მოსამართლის სპეციალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა

1. მოსამართლეებისთვის ამ სტანდარტის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ასევე უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთათვის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებას.

3. ტრენინგების გავლის შემდეგ მოსამართლეს გადაეცემა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ტრენინგთა გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

4. ის მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018-2019 წლებში ორგანიზებული ტრენინგი „ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მათ შორის არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები)“ ვალდებულია გაიაროს მხოლოდ ამ სტანდარტის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრენინგი.

5. ამ სტანდარტის მე-2 მუხლში მოცემული ტრენინგები წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის მინიმალურ სტანდარტს.

6. იუსტიციის უმაღლესი სკოლა წელიწადში არანაკლებ ერთხელ უზრუნველყოფს სპეციალიზებულ მოსამართლეთა განგრძობად სწავლებას ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ საქმეებზე არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით.

7. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ტრენინგების კურსის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც აისახება ინფორმაცია სერტიფიცირებულ მოსამართლეთა შესახებ, ტრენინგის მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, მონაწილეთა დასწრების შედეგები, ასევე პროგრამის განხორციელების პარტნიორთა დაკვირვებების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მომზადებული ანგარიში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

განმარტებითი ბარათი

„ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტის შემუშავება. წარმოდგენილი პროექტი განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის წესს სპეციალურ სწავლების მეშვეობით. კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი მოსამართლე ვალდებულია გავლილი ჰქონდეს შემდეგი ტრენინგები: ბავშვის უფლებათა კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო; ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები; ფსიქოლოგის როლი ბავშვის მონაწილეობით და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში; ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; სოციალური მუშაკის როლი ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში; ბავშვის საჭიროებები და მშობლებთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.

პროექტი ასევე ადგენს მოსამართლეების სპეციალიზაციის სტანდარტის პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება იუსტიციის უმაღლეს სკოლას, რის შემდეგაც მოსამართლეს გადაეცემა ტრენინგთა გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ის მოსამართლე, რომელსაც გავლილი აქვს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018-2019 წლებში ორგანიზებული ტრენინგი „ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მათ შორის არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები)“, ვალდებულია გაიაროს მხოლოდ „ბავშვის უფლებათა კოდექსი და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს“ შესახებ ტრენინგი. პროექტით ასევე დგინდება ბავშვის მონაწილეობით ან/და მასთან დაკავშირებულ საქმეებზე არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით, სპეციალიზებულ მოსამართლეთა განგრძობადი სწავლების წელიწადში არანაკლებ ერთხელ უზრუნველყოფის ვალდებულება. ამასთან, განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ანგარიშის მომზადებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის ვალდებულება.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.